სსიპ ეროვნული
სატყეო სააგენტო

20 მაისი 2025

GOV N 855/ს

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით, იმერეთის სატყეო სამსახურის საჩხერის სატყეო უბნის კორბოულის სატყეოს კვარტალი N24 ლიტერი N19-ში მდებარე 7415 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით (საკადასტრო კოდი: N35.12.48.420) ელექტრონული აუქციონის N269 გამოცხადების შესახებ

საქართველოს ტყის კოდექსის 37-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი და მესამე პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის N221 დადგენილებით დამტკიცებული „ტყითსარგებლობის წესი“-ს შესახებ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ე) ქვეპუნქტის, 33-ე , 79-ე, 83-ე და 86-ე მუხლების, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 10 მარტის N001489025 დასკვნის, ტყითსარგებლობის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 16 მაისის N7326 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N269 ტყით სპეციალური სარგებლობის უფლების გაცემის მიზნით შემდეგ ობიექტზე:

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს (შემდგომში-„სააგენტო“) იმერეთის სატყეო სამსახურის საჩხერის სატყეო უბნის კორბოულის სატყეოს კვარტალი 24 ლიტერი N19 ში მდებარე 7415 $მ^2$ მიწის ნაკვეთი (არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, საკადასტრო კოდი: **N35.12.48.420**).

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესები, ტყითმოსარგებლის ზოგადი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს სააგენტოს ფინანსურ დეპარტამენტს, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე - www.eauction.ge ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას სსიპ "ეროვნული სატყეო სააგენტოს" ვებგვერდზე - www.forestry.gov.ge ინფორმაციის განთავსება.

5. ეს ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზირი. N-34) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა ცერცვაძე

სააგენტოს უფროსი

სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო